საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03- 01/04

ქ. თბილისი 02 სექტემბერი 2020 წ.

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე. დანართი N1, N2, N3, N4 და N5 არის ბრძანების შემადგენელი ნაწილი.

საკონკურსო კომისიამ მუშაობა დაასრულა 2020 წლის 20 მარტს და წარმოადგინა სხდომის (შემაჯამებელი) N5 ოქმი თავის დანართებით (დანართი N1).

2020 წლის 20-22 მარტს დირექტორის მოვალეების შემსრულებლის სახელზე შემოვიდა კონკურსანტების (სულ 8 პირის) წერილობითი მოსაზრებები (პრეტენზიები) (დანართი N2). წარმოდგენილი მოსაზრებები ეხება როგორც კომისიის მუშაობის ხარვეზებს, ასევე მკაფიოდ იყო მინიშნებები კონკურსის ჩატარების პირობების ხარვეზებზე, ანუ ბრძანების დანართებზე, რაც თავისთავად აქტის გამომცემ ორგანოს თუ თანამდებობის პირს ავალდებულებს დაიწყოს გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმება. შესაბამისად, ჩემი (დანართი N3) წარვუდგინე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს და მის მოადგილეს ანუ კომისიის თავმჯდომარეს, სადაც, აღწერილ პრობლემებთან ერთად, მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება: „ობსერვატორიის ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე კონფლიქტური სიტუაციის შესაძლო მომავალი გაღრმავების თავიდან ასაცილებლად შეუძლებლად მიმაჩნია კონკურსის შედეგების დამტკიცება“.

სამინისტროსგან არანაირი პასუხი არ მიმიღია, მაგრამ კომისიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით მივიღეთ წერილობითი პასუხები როგორც მე, ასევე კონკურსში მონაწილე პირებმა. (დანართი N4)

2020 წლის 01 აპრილს შემოვიდა ერთობლივი განცხადება N03-02/99, (7 პირის ხელმოწერით (დანართი N 5), სადაც გაანალიზებულია მათ მოსაზრებებზე მიღებული პასუხები. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ პასუხებში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ კომისიამ ყველაფერი გააკეთა ბრძანების N2 და N3 დანართის შესაბამისად და ამ დანართების საფუძველზე კომისიას ჰქონდა კონკურსის ისეთი წესით ჩატარების უფლება, როგორც ჩაატარა. ჩემივე გამოცემული აქტის კანონიერების საკითხი ეჭვის ქვეშ დადგა ჩემს მიერვე გაკეთებული ახსნა-განმარტებით, მაგრამ მიღებული პასუხების ანალიზით, აქტის კანონიერების შემოწმება აუცილებელია.

მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება

წარმოდგენილი მასალების სამართლებრივი ანალიზისა და შექმნილი პრობლემური სიტუაციდან სწორი სამართლებრივი გამოსავლის მიზნით, საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანება თავისი დანართებით აღიარებულ უნდა იქნეს კანონსაწინააღმდეგო ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტად და გამოცხადდეს ბათილად შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ კიდევ ახსნა-განმარტებით მოვახსენე კომისიასაც და მინისტრსაც ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, რომ არ ვაპირებდი კონკურსის შედეგების დამტკიცებას. ამ გადაწყვეტილების საპირისპიროდ კონკურსში მონაწილე პირთათვის მიწერილი პასუხებისა და განსაკუთრებით ჩემთვის მოწერილი პასუხის სამართლებრივი ანალიზით მივედი დასკვნამდე, რომ, თავის მხრივ, მართლები არიან პრეტენზიის მქონე კონკურსანტებიც და ასევე მართლები არიან კომისიის წევრებიც, რაც სამართლებრივი ნონსენსია. ძირითადად მათი პრეტენზიებისა და/თუ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, მათივე მტკიცებით, ეფუძნება სწორედ კონკურსის ჩატარების შესახებ გამოცემულ ბრძანებას, სადაც ძირითადად იმაზეა ხაზი გასმული, რომ დანართით - "არ არის დადგენილი"; „არ არის აკრძალული", „არა არის ვალდებული"; „კომისიას უფლება ჰქონდა... „ და ა.შ. პრეტენზიის მქონე ნებისმიერ პირს დაცული აქვს დარვეული უფლების აღდგენის მიზნით სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს იმ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის შინაარსის განმარტებით, რომლის საფუძველზეც იყო მიღებული გადაწყვეტილება. კონკრეტული ინდივიდუალური აქტის თაობაზე დაწყებულ დავაზე შეუძლებელია სასამართლომ დაადგინოს სამართლიანობის საკითხი, რადგან მისი კანონიერების საკითხი თავის დროზე არ გასაჩივრებულა, ხოლო ფორმალურად სასამართლომ უნდა შეამოწმოს მართლაც იყო თუ არა ამდენი გადაუწყვეტელი, დაუკონკრეტებელი, არასავალდებულო და ბუნდოვანი ჩანაწერები, რომლის გამოც კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა, ისე გაეგო შესასრულებელი აქტი, როგორც გაიგო და მეტი არაფერი. სასამართლომ კი შეიძლება ეს ფორმალურად გადაწყვიტოს, მაგრამ მე, როგორც საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ობსერვატორიის წესდებისა და მისი გარდამავალი დებულებების საფუძველზე, რა

სამართლებრივ მიზანსა და შედეგს ვისახავდი საქართველოსა და მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო დაწესებულების გამართული საქმიანობის მიზნით, როგორი პროცედურებით უნდა აღსრულებულიყო, ეს ვიცი კარგად. სწორედ იმიტომ, რომ კომისიამ შემახსენა ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ განმიმარტა: „მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი პერსონალურად აგებს პასუხს დაწესებულების საქმიანობის კანონიერებაზე", დიახ, ვადასტურებ, რომ დაწესებულების საქმიანობის კანონიერების შემოწმება გულისხმობს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმებას. ვერ ჩაითვლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერად, რომელიც არ/ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნებს, რისთვისაც გამოიცა და სწორედ დაწესებულების საქმიანობის კანონიერებას უქმნის საფრთხეს და, რაც მთავარია, არ იძლევა შესაძლებლობას, ამ აქტის აღსრულებისას მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას, უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს (კონსტიტუციით აღიარებული საპროცესო უფლებები) პრინციპის დაცვით შემოწმება. ამით შეილახება კონკურსში მონაწილე მეცნიერების კონსტიტუციით გარანტირებული როგორც შრომითი, ასევე საპროცესო უფლებები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ძირითადი მოთხოვნები, რაც წარედგინება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და რაც მას განასხვავებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისგან, არის ის, რომ იგი უნდა იყოს კონკრეტული, არ უნდა იწვევდეს აღსრულებისას ბუნდოვანებას და არ უნდა იყოს საჭირო მისი აღსრულების აქტის შინაარსის განმარტების მაგვარი გადაწყვეტილებების მიღება, რადგან ინდივიდუალური აქტის ქვემდებარე აქტს არ იცნობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ნორმატიული აქტების შესახებ კანონი. და რაც მთავარია, მისი აღსრულების კანონიერების შემოწმება უნდა იყოს შესაძლებელი. რაც შეეხება კანონიერების საკითხს, ობსერვატორიის წესდების გარდამავალი დებულებები არის არასრული და იმდენ საკითხს ტოვებს ღიად, რომ შეუძლებელია აქტის, როგორც კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტის კანონიერების შემოწმება. სწორედ ამოტომაც არ არის კანონიერი განსახილველი აქტი.

სიტუაციის სამართლებრივი გამოსწორების მიზნით, ამ ყველაფრის ანალიზის საფუძველზე, უნდა შევიდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდების მე-16 მუხლში (გარდამავალი დებულებები) ისე, რომ ღიად და საჯაროდ ობსერვატორიისა და მეცნიერ-თანამშრომელთა უფლებები და, რაც მთავარია, კონკურსის ჩატარების თაობაზე მიღებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი იყოს ცხადი, ნათელი, კონკრეტული, არ უნდა ტოვებდეს გადუწყვეტელ საკითხებს, რაც კომისიას არ მისცემს „თვითშემოქმედების" უფლებას და მიღებული გადაწყვეტილებები თუ გახდება სადაო, შესაძლებელი უნდა იყოს მათი სასამართლოს გზით სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვით შემოწმება, რათა მოდავე მხარეები არ დარჩნენ უფლებაშელახული. ამის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია ობსერვატორიის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის კანონიერი და ეფექტური საქმიანობა.

შესაბამისად, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კონსტიტუციის მე-18, 26-ე, 31-ე მუხლებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის მესამე პუნქტის პირველი წინადადებით, 76-ე მუხლითა და 72-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცნობილ იქნას ბათილად საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის შესახებ 2020 წლის 07 თებერვლის N03-01/01 ბრძანება თავისი დანართებით.
2. ცნობილ იქნას ბათილად ამ ბრძანების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები (სამართლებრივი შედეგები).
3. დაევალოს ობსერვატორიის საქმის წარმოებისა და არქივის სპეციალისტს, მზია ბარათელ-ომიაძეს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება დანართებთან ერთად ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge აგრეთვე ელექტრონული ფოსტის vacancy@abao.ge გამოყენებით, ობსერვატორიის სამეცნიერო პერსონალისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემის დღიდან
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი მაია თოდუა